26
F75 №6038

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 27 (18869) ოთხშაბათი, 1 თებერვალი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

4 მარტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეა

დეპუტატობის კანდიდატები

ელმავალმშენებელთა რჩეული

შრომითი თაოსნობა და პრესა

მიმდინარე წლის დამდეგი, უეჭველია, ჩვენს ქვეყანაში მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების განვითარების მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმის, ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მიერ დასახულმა კონკრეტულმა ამოცანამ — მივაღწიოთ გეგმის გადაჭარბებით შრომის ნაყოფიერების ერთი პროცენტით ამაღლებას და დამატებით 0,5 პროცენტით შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება — საბჭოთა ადამიანების შემხვედრი ინიციატივები გამოიწვია.

პრესა ყოველდღიურად იუწყება, რომ შრომითი კოლექტივები კისრულობენ მაღალ სოციალისტურ ვალდებულებებსა და შემხვედრ გეგმებს. „მოსკოვსკაია პრავდას" პუბლიკაციები, მაგალითად, მოგვითხრობს, თუ რისი მეოხებით და რა გზებით აპირებენ დედაქალაქის მშრომელები წარმატების მოპოვებას, პარტიის მიერ დასახული მიჯნების მიღწევას. საწარმოებში კომპლექსურად მიმდინარეობს დამჭერობისა და უბნების მექანიზაცია, საექსპლუატაციოდ გადაეცემა ნაკადური და ავტომატური ხაზები, ინერგება პროგრესული ტექნოლოგიური პროცესები. მოფიქრებული, აწონილ-დაწონილი შემხვედრი გეგმები მიიღეს აგრეთვე ლენინგრადის, ურალის, ყაზახეთის, საქართველოს, სხვა რესპუბლიკების მოწინავე შრომითმა კოლექტივებმა.

კიევის „რაბოჩაია გაზეტა" და როსტოვის „მოლოტი", პერმის „ზვეზდა" და კუიბიშევის „ვოლჟსკაია კომუნა", პრესის სხვა ორგანოები ცოცხლად, საინტერესოდ უწევენ პროპაგანდას კოლექტივების შემოქმედებით ძიებას შრომის ნაყოფიერების დამატებითი გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. პრესა დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ რას მოგვცემს გეგმის ასეთი დანამატი. [illegible]

«ПРАВДА»
31 იანვრის მოწინავე

[illegible]

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის ელექტრომემონტაჟეთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს გურამ მეტონიძეს კარგად იცნობენ ჩვენს რესპუბლიკაში.

მეოთხედი საუკუნის წინათ, საბჭოთა არმიაში სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ, გ. მეტონიძე ელმავალსაშენებელ ქარხანაში მოვიდა. პირველი დღეებიდანვე იგი ენერგიულად, თავდადებით შეუდგა შრომას. კვალიფიკაციის ამაღლების სწრაფვით ახალგაზრდა მუშა წარმოების მოწინავეთა შორის აღმოჩნდა.

და აი, ახლაც, მრავალი წლის შემდეგ, ახალგაზრდების უბადლო დამრიგებელი, მრავალი რაციონალიზატორული წინადადების ავტორი, კომუნისტი გ. მეტონიძე სათავეში უდგას ელექტრომემონტაჟეთა კომპლექსურ ბრიგადას, რომელიც მუდამ 150-160 პროცენტით ასრულებს საწარმოო დავალებებს და ხშირად იმარჯვებს შიდასაქარხნო სოციალისტურ შეჯიბრებებში.

წარჩინებული ბრიგადირი აქტიურად მონაწილეობს საწარმოს, რაიონის, ქალაქისა და რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი იყო საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატი, არის გაერთიანება „ელმავალმშენებლის" პარტიული კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. შარშან მას მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება.

აქტიური საწარმოო და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის გ. მეტონიძე დაჯილდოებულია მთავრობის მაღალი ჯილდოებით — ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენებით. იგი არის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ამ დღეებში გურამ მეტონიძეს დიდი ნდობა გამოუცხადეს და წინასაარჩევნო კრებაზე დაადგინეს, რომ რეგისტრაციაში გაატარონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 658 თბილისის პირველი მაისის საარჩევნო ოლქში.

სურათზე: თანამოსაქმეები ულოცავენ გურამ მეტონიძეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებას.

ბ. პიპიაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ისინი ხალხმა დაასახელა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს [illegible]

(დასასრული მე-2 გვ.).

ი. ვ. ანდროპოვის პასუხი იუნესკოს გენერალური დირექტორის წერილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონო გენერალურო დირექტორო!

მადლობას მოგახსენებთ გამოგზავნილი წიგნისათვის „მომავლის სათავეებთან", რომელიც შეიცავს თქვენს აზრებს მსოფლიოს ბედის შესახებ.

არ შეიძლება არ გავიზიაროთ შეშფოთება, რომელსაც თქვენ გამოთქვამთ გამძაფრებულ შეიარაღებასა და ბირთვული ომის საფრთხესთან დაკავშირებით. მართლაც, ასეთი საფრთხე იზრდება, მაგრამ, როგორც ცნობილია, არა ჩვენი მიზეზით. მილიონობით ადამიანს სულ უფრო ცხადად ესმის, რომ დაძაბულობის წყარო გახდა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის იმპერიული კურსი, რომელიც მთელ მსოფლიოს თავის სუვერენულ სამფლობელოდ რაცხს და ჰგონია, თითქოს უფლება აქვს თავს მოახვიოს სხვებს ცხოვრების ნორმები.

საბჭოთა კავშირი სხვა გზას ადგას საერთაშორისო ასპარეზზე. ეს გზა შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მისი სპეციალიზებული დაწესებულების — იუნესკოს საწესდებო დებულებებს.

იუნესკოს წევრი სახელმწიფოების დიდ უმრავლესობასთან ერთად ჩვენ მხარს ვუჭერთ თქვენი ორგანიზაციის საქმიანობას მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საკეთილდღეოდ. ასეთი თანამშრომლობის გაძლიერება, განვითარება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მზარდი დაძაბულობის პირობებში. იუნესკოს ბევრი რამ შეუძლია საიმედო მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ბრძოლის საქმეში.

მეცნიერების, კულტურისა და განათლების დარგში იუნესკოს წინაშე მდგომი ამოცანები განუყოფელია რასიზმის, აპარტეიდის, უთანასწორო საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სისტემის განმტკიცების ცდების წინააღმდეგ ბრძოლისაგან. შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ იუნესკოს მეცადინეობას, ბოლო მოუღოს იმ ანაქრონიზმებს, რომლებიც კოლონიური ბატონობის სამარცხვინო ხანას მოგვაგონებს.

ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის დამყარებაში, მშვიდობისათვის და ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში დიდი როლი განეკუთვნებათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. ამიტომ ჩვენთვის გასაგებია ის ყურადღება, რომელსაც იუნესკო უთმობს ინფორმაციის დარგში ახალი საერთაშორისო წესის სისტემის შექმნას და რომელიც ხელს უწყობს „ინფორმაციული იმპერიალიზმის" [illegible]

ი. ანდროპოვი.

ა.-მ. მ'ბოუს წერილი

[illegible]

ერთსულოვანი მოწონება, მხურვალე მხარდაჭერა

[illegible]

დედების სახელით

[illegible]

ხ. შანიძე.

ყველა ჩვენგანის ვალია

[illegible]

გ. ციციშვილი.

კარდიოქირურგია: მიღწევები, ამოცანები, პერსპექტივები

[illegible]

ისინი ხალხმა დაასახელა

(დასასრული)

ტირასპოლის კიროვის სახელობის სამსხმელო მანქანების ქარხნის დირექტორი ანატოლი ივანეს ძე ზოლოჩევსკი.

ოგრის საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა ლატვიის სსრ ოგრის რაიონის კოლმეურნეობა „ლაჰპლესისის" მერძევე, სოციალისტური შრომის გმირი ვენატე ედუარდის ძე ხპილე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების უფროსი კლავდი მიხეილის ძე ბოგოლიუბოვი საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს ისიკ-ყულის საარჩევნო ოლქში.

ყირგიზეთის სტრელნიკოვის სახელობის სახელმწიფო ჯიშთსაშენის მწველავი ტატიანა თევდორეს ასული ატიაშკინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ალამედინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

ერევნის საბჭოთა საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს „ერმრეწმშენის" ტრესტის № 31 სამშენებლო სამმართველოს მებათქაშეთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი გრიშა სარქისის ძე მარქარიანი.

ჩარჯოუს საარჩევნო ოლქში საოლქო საარჩევნო კომისიამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ან-2 თვითმფრინავის მეთაური ნარყული ხაიდოვი.

(საკდესი).

✦ ✦

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელის ვახტანგ ივანეს ძე არაბიძის კანდიდატურა რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების № 665 ზესტაფონის საარჩევნო ოლქში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 173 გორის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა გორის რაიონის ხვითის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა ივანე ხამხოჩის ძე ხამხარაძე.

გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანის კოლმეურნეობა „ლენინიზმის" ტრაქტორისტი ჭემალ ოთარის ძე ბეჟანიშვილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გაატარეს № 174 გურჯაანის საარჩევნო ოლქში.

№ 180 მცხეთის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თენგიზ ნიკოლოზის ძე მენთეშაშვილი.

ცხაკაიას რაიონის სოფელ ეკის გაზეთ „კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე მარინე დანიის ასულ ხოფერიას კანდიდატურა რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 189 ცხაკაიას საარჩევნო ოლქში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 192 ქიათურის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა „ჭიათურმანგანუმის" საწარმოო გაერთიანების ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს გვირაბგამყვანი გრიგოლ ახელის ძე ტუღუშიძე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 490 ოჩამჩირის საოლქო საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუს ლაკობას სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ლარისა ბეგის ასულ ლაკერბაიას კანდიდატურა.

ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის მეჩაიე ციური ნოდარის ასულ მოწყობილის კანდიდატურა რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 501 ჩაქვის საარჩევნო ოლქში.

№ 739 ზნაურის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ზნაურის რაიონის სოფელ მუგუთის კოლმეურნეობის მემინდვრეთა ბრიგადირი ილია ანტონის ძე ბესტაევი.

(საქინფორმი).

დამსახურებული ნდობა

ჩვენი საარჩევნო სისტემის დემოკრატიზმს, მშრომელთა მაღალ მოქალაქეობრივ აქტიურობას ადასტურებს ამომრჩეველთა შეხვედრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კანდიდატებთან. ეს შეხვედრები მკაფიოდ მოწმობს კომუნისტთა და უპარტიოთა ხელოკის ურღვეობას.

ფინანდელივით

მფყობრში

პასუხსაგები დავალება — დაემზადებინა მეორმილიონე კომბაინის დეტალების პარტია — ვადამდე შეასრულა საწარმოო გაერთიანება „როსტსოფლმანქანის". მრანდავმა, სოციალისტური შრომის გმირმა პ. კ. კოლესნიკოვმა. შრომითი მიღწევა მიულოცეს მას თანამოსაქმე ამხანაგებმა, პროლეტართა საარჩევნო ...

მშობლიურ ქარხანაში, ჯერ კიდევ ალუდგენელ საამქროში, გუშინდელი ფრონტელი თავის სასწაულად გადარჩენილ ჩარხთან დგება და 5-6-ჯერ გადაჭარბებით ასრულებს გამომუშავების ნორმებს.

შეხვედრაზე გამოსულებმა თქვეს, რომ პ. კ. კოლესნიკოვის ბიოგრაფია სამშობლოს სამსახურის მკაფიო მაგალითია. დამკვრელურ შრომას ვეტერანი წარმატებით უხამებს აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას.

იგი იყო XX და XXII პარტიული ყრილობების დელეგატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, არის პარტიის, კომკავშირის, ომისა და შრომის ვეტერანთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე, მშვიდობის დაცვის საოლქო კომიტეტის წევრი.

გულნარას

კომკავშირული

ხელწერა

...

რჩევლებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან გ. ო. ღიხამინავასთან შეხვედრაზე, რომელიც დასახელებულია ალმაათის ოქტომბრის ოლქში.

შეხვედრა გახსნა ი. ა. გაგარინის სახელობის სამკერვალო გაერთიანების პარტკომის მდივანმა კ. ს. შოიბეკოვამ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კოლექტივს ლეიძლ საქმედ მიაჩნია ამოცანა მიაღწიოს შრომის ნაყოფიერების ზეგეგმით ამაღლებას ერთი პროცენტით და პროდუქციის თვითღირებულების დამატებით შემცირებას 0,5 პროცენტით. შემოქმედებითი მუშაობის ნიმუშს გვიჩვენებს დამკვრელურ წინასაარჩევნო ვახტზე მოტორისტი მკერავი გ. ო. ღიხამინავა.

შემდეგ გამოვიდნენ საამქროს უფროსი გ. ფ. ტრიანდოფილიდი, გაერთიანების ფილიალის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ...

მოვიდა მეურნეობაში და იმთავითვე დაიწყო სვლა შრომითი დიდების მწვერვალებისაკენ.

მეთამბაქოეთა კოლექტივი, რომელსაც ილია ბულატი ხელმძღვანელობს, უკვე თითქმის ოცდაათი წელია საუკეთესოა რაიონში, თვით ბრიგადირი კი სოციალისტური შრომის გმირი გახდა.

სიმაღლეს სიმაღლე

მოსდევს

უკვე მრავალი წლის მანძილზე ლატვიის კოლმეურნეობა „მორვენტის" მელორეობის კომპლექსის ოპერატორს, სოციალისტური შრომის გმირს ვალერია თონას ასულ ნარბუნტენეს ენიჭება ვიმპელი „საუკეთესო დამრიგებელი". პირველი კლასის მეცხოველეობის ოსტატი მუშაობს სა...

და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ვალერია თონას ასულ ნარბუნტენეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

დეპუტატობის კანდიდატზე ბევრი კარგი სიტყვა თქვეს მეზვეღრაზე, კომკავშირის მარვენტის ...

ნოვატორულმა მიდგომამ, გამოცდილი დამრიგებლის უნარმა. წინ კი ახალი საზრუნავი ელით, ქარხნის კოლექტივმა ხომ პირობა დადო, რომ წელს გამოუშვებს ცხრა ათასი კილოვატი სიმძლავრის თორმეტლერიანი ვ-15 ელმავლის სალდელ ნი...

ოსტატობის სკოლა

...

ჩვენი კოლონელი, თუმცა ... სამენობელი ქარხნის შრომის ვეტერანმა, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ა. პ. ისაევმა, — სამართლიანად ატარებს ქალაქის საპატიო მოქალაქის წოდებას. პეტრე კონდრატეს ძე პირველ როსტოველ სტახანოველთა რიცხვში იყო. გამარჯვებული დაბრუნდა რა 1945 წელს ...

... რეობამ, თავმდაბლობამ, საქმისადმი პასუხისმგებლობამ მოუპოვა მას კოლექტივის პატივისცემა. ბევრ დროს ახმარს იგი საზოგადოებრივ მუშაობას, არჩეულია პროფკავშირის საამქრო კომიტეტის, კომკავშირული ბიუროს წევრად.

ამის შესახებ ილაპარაკეს ამომ...

... ვისი შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობით ადამიანების უდიდესი პატივისცემა დაიმსახურა, — თქვა კოლმეურნეობის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ ფ. ი. სარინჩანმა — კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა. ორმოცდაათიან წლებში ჩვიდმეტი წლის ბულატი ...

... ხმწიფო პრემიის ლაურეატი. ყოველ წელს სულ უფრო წინ მიიწევს. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისათვის, შრომითი გმირობისა და გასულ ხუთწლედის პერიოდში ხორცის წარმოების გადიდების გეგმებისა ...

განვიხილავთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს

საბჭოთა სკოლა ახალ ეტაპზე

განვითარებული სოციალიზმის ეპოქამ სახალხო განათლების სისტემის წინაშეც დასახა ახალი ამოცანები, რომელთა გადაჭრამ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმა მოითხოვა. სასკოლო რეფორმის ძირითადი მიმართულებანი მომავალი თაობის აღზრდის ახალი ორიენტირია.

... პედაგოგიურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდების დროს მიღებული ყურადღება ... კონტინგენტის გაზრდის საკითხიც. ვფიქრობთ, თუ პედაგოგიურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდების დროს მხედველობაში მიიღებენ ხაზუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ვაჟების ჩარიცხვისას სკოლების პედაგოგიური საბჭოების რეკომენდაციას ...

...

ა. მაღრაძე ... (ზემო ... სკოლის დირექტორი)

პარტიაში ლენინური გაწვევის 60 წლისთავისათვის

იდგა 1924 წლის 21 იანვარი. ქარბუქიანი, სუსხიანი საღამო იყო.

საათის ისრები 7 საათს უჩვენებდა. გორკიდან რეკავენ მოსკოვში. ტელეფონის მილში ისმის ქალის ალელვებული ხმა, მარიამ ილიას ასულმა ულიანოვამ წარმოთქვა შემზარავი სიტყვები: „ლენინი გარდაიცვალა".

ეს მოხდა 6 საათსა და 50 წუთზე.

რკპ (ბ) ცენტრალური ...

მეორე დღეს, 22 იანვარს, დილის 6 საათზე რადიომ მსოფლიოს აუწყა ლენინის გარდაცვალება...

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ლენინის ცხედართან მიიტანა გვირგვინი, რომელსაც ასეთი წარწერა ჰქონდა: „დიდ მასწავლებელსა და მებრძოლს, შეუდარებელ ამხანაგს, ერთადერთ მხურვალედ საყვარელ ლენინს". მათ გამოუგზავნეს აგრეთვე დიდი ალი...

მდინარეობდა მოწინავე მუშათა მოძრაობა კომუნისტურ პარტიაში შესასვლელად. ბევრგან ასეთი განცხადება იყო გაკრული: „შედგება ქარხნის მუშათა საერთო კრება. დღის წესრიგშია: 1) მოხსენება ამხანაგ ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, 2) რუსეთის კომუნისტურ პარტიაში (ბოლშევიკებისა) მიღება, პარტიაში მისაღებთა სიის ქვემოთ წარწერილი იყო: „პარტიაში ჩაწერა გრძელდება", სამგლოვიარო კრებების რეზოლუციები ერთსულოვანი იყო: ყველაფერი საუკეთესო მივცეთ პარტიას. კოლექტიური ძალით შევცვალოთ ჩვენგან წასული ბელადი.

60 წლის წინათ, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ...

ტებისათვის ეცნობებინათ თავიანთი შენიშვნები ამა თუ იმ კანდიდატის შესახებ. ამის შემდეგ მუშათა საერთო კრებებსა და პარტიული უჯრედის ღია კრებებზე მსჯელობდნენ თითოეული კანდიდატის შესახებ.

გაზეთის ფურცლებზე ქვეყნდებოდა განცხადების შემომტანთა გვარები, იბეჭდებოდა თვით განცხადებები. ამას ყველა მშრომელისათვის უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა, უმთავრესი კი ის იყო, რომ პარტიაში მიღების ასეთი ორგანიზაცია საშუალებას იძლეოდა დაეცვათ პარტია შემთხვევითი და უცხო ელემენტებისაგან.

გაზეთი „კომუნისტი" იუწყებოდა: 12 მარტს ფოთში, მანგა...

... იყო და არ არის იმაზე დიდი ღირსება და პატივი, ვიდრე კომუნისტის წითელ წიგნაკს ატარებდე, ვიდრე იმყოფებოდე ლენინური პარტიის რიგებში, რომელიც ახლა აერთიანებს 18 მილიონზე მეტ კომუნისტს.

პარტიაში მიღება მთავრდებოდა ...

... თავისი მასშტაბითა და მნიშვნელობით უდიდესი მუშაობა გასწიეს ლენინური გაწვევის კომუნისტთა და პარტიის ყველა წევრის იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის. გადაისინჯა პოლიტიკური განათლების არსებული სისტემა, გამოიძახა მისი ახა...

ძალა, ისტორიას რომ ამოძრავებს

1924 წლის 31 იანვარს მიიღო მიმართვა მუშებისადმი და დადგენილება: „დაზგის მუშების პარტიაში მიღების შესახებ", რომელშიც აღნიშნული იყო: „ამ კამპანიის ლოზუნგები უნდა გახდეს „დაზგის მუშებო, პროლეტარული რევოლუციის მტკიცე მომხრეებო! შედით რუსეთის კომუნისტურ პარტიაში! პროლეტარებო! გაგზავნეთ პარტიის რიგებში საუკეთესო, მოწინავე, პატიოსანი და გაბედული მებრძოლნი!"

დადგენილებას წითელ ზოლად გასდევდა: პარტიაში მივიღოთ მხოლოდ და მხოლოდ დაზგის მუშები. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ უპარტიო მუშებმა რაც შეიძლე...

ნუმის გადაწყვეტაზე მომუშავე მუშათა კრებაზე, რომელსაც 600 მუშა ესწრებოდა, დადგენილებაში ჩაწერეს: „ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ლენინის გარდაცვალების შემდეგ თითოეული შეგნებული მუშა ვალდებულია, თუკი ის ღირსია ამ უმაღლესი სახელის ტარებისა, დაუყოვნებლივ ჩადგეს პარტიის რიგებში, რომელსაც მოაკლდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი". კრების მონაწილე 160 კაცმა განაცხადა სურვილი შესულიყო პარტიის რიგებში. ასე იყო ბათუმში, სოხუმში, ქიათურაში და სხვა სამრეწველო ცენტრებში. 15 აპრილისათვის, მარტო თბილისში შეტანილი იყო 2919 განცხადება. ...

ლენინური გაწვევის 60 წლისთავის დღეებში ხალხმრავლობაა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში. პარტიის ვეტერანები მოდიან აქ, რათა ერთხელ კიდევ ნახონ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები.

ვეტერანები, რომლებმაც ბრძოლისა და შრომის საინტერესო გზა განვლეს, დღესაც მწყობრში არიან. ისინი აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას ეწევიან — ახალგაზრდების დღევანდელ თაობას ასწავლიან იცხოვრონ და იშრომონ ლენინის ანდერძის მიხედვით.

სურათზე: პარტიის ვეტერანები ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის წინ (მარცხნიდან) — სიმონ ნაცვალაშვილი, მაკარი ჭაში, მარგარიტა ქურციკიძე, მარიამ ზაუტაშვილი, ალექსანდრე ისაევი, ილია ლეჟავა და ვასილ კაკაბაძე.

...

„მუშებო — პარტიაში!", „ჩვენ უფრო მტკიცედ, მივიღოთ ბოლშევიკური პარტიაში!", „თითოეული მუშა-პარტიის ახალი წევრება — ყველაზე უფრო საუკეთესო გვირგვინი ილიჩის კუბოსთან მიტანილ გვირგვინთა შორის!" — ამ ლოზუნგებით მი...

ლენინის ცოცხლობს ყოველი ლარიბი გლეხის გულში.

ლენინი ცოცხლობს კოლონიური მონების მილიონთა გულში...

მიმართავდა მთავრდებოდა მგზნებარე შეძახილით: „დღეგრძელობდეს, ცოცხლობდეს და იმარჯვებდეს ჩვენი პარტია!"

ლენინური გაწვევით პარტიაში მიღება ასე ხდებოდა: განცხადებების შემომტანთა სიებს ყველასათვის გასაცნობად საამქროებში, სასადილოებსა და კლუბებში თვალსაჩინო ადგილას გააკრავდნენ. მათ ახლდა მოწოდება მუშებისადმი, რომ მათ პარტიული კომი...

ლენინური გაწვევით პარტიაში ... საქართველოს კომპარტიის რიგებში, კიდევ უფრო ამაღლა მისი ავტორიტეტი მასებში. ამაზე ნათლად მეტყველებს ციფრები: 1924 წლის იანვრისათვის საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრებისა და კანდიდატების რიცხვი 11.618-ს შეადგენდა; მათ ...

... ილოდნენ ყოფილიყვნენ ლენინის პარტიის ერთგული შვილები. ერთმა მუშამ, სამოქალაქო ომის მონაწილემ განაცხადა: „ბპირდებით ისევე მედგრად ვებრძოლო პარტიისათვის, როგორც სამოქალაქო ომის ფრონტზე ვიბრძოდი, სადაც მე აი, ეს ხელი ...

... წლის აგვისტოს პლენუმის გადაწყვეტილების საფუძველზე ... გაზიარების პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და ორგბიურომ.

ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის შრომების გამოცემას.

... როგორიც 1924 წლის ლენინური გაწვევის პერიოდში. ამასთანავე პარტიული ორგანიზაციები ფართოდ იყენებდნენ მის პრაქტიკულ გამოცდილებას. მომდევნო სოციალისტური მშენებლობის წლებში პარტიის შემადგენლობის გაუმჯობესებისა და შევსებისათ...

... ხალხის ინტერესების ... ერთგული ... ჩვენი წინამძღოლი ... ...

ფილიპე მახარაძე,
ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი.

პირმართალი და მისანდობელი

პროფესორ კონსტანტინე ვირსალაძის დაბადების 70 წლისთავის გამო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით კ. ს. ვირსალაძის დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის, რესპუბლიკის სამედიცინო კადრების მომზადების საქმეში დიდი წვლილისათვის და დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი კონსტანტინე სპირიდონის ძე ვირსალაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

გ. თბილისი. 1984 წლის 31 იანვარი.

რუსთაველი მარკით

31 იანვარი — უცხოეთში

ლიბანი: მეძებარი წინააღმდეგობა

ჩადი: ჩარევის ესკალაცია

აშშ: თავხედური გამოხდომა

ფოტოფაქტი

მწარე ხვედრი

„თუ შეგიძლიათ, დაგვეხმარეთ! თქვენი მოწყალება საჭმლითა და ბინით უზრუნველყოფს უსახლკაროებს" — წარწერილია კლივლენდის (აშშ) ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაში დადგმულ პლაკატზე. მაგრამ ამ მოწოდებას, როგორც ჩანს, ყურადღებას არ იღებენ გამვლელ-გამომვლელნი. ასეთი გულგრილობის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ კაპიტალისტური სამყაროს უმდიდრეს ქვეყანაში მშიერთა და უსახლკაროთა პრობლემა ჩვეულებრივ, ყოველდღიურ რეალობად იქცა.

თეთრი სახლის მიერ განხორციელებულმა ანტიხალხურმა, მილიტარისტულმა კურსმა მილიონობით უსახლკარო ამერიკელს სიდუხჭირისა და შიმშილობის მწარე ხვედრი არგუნა.

ადნ-საქდესის ფოტო.

საერთაშორისო მიმოხილვა

ვის დარჩება სავარძელი?..

მშვიდობა, სიცოცხლე, გონება

ქრონიკა

ლიტერატურული თარო

ნაშრომი იმაზე, თუ რა შესწევს ხალხთა მეგობრობას

გამომცემლობა „მეცნიერებამ“ რუსულ ენაზე გამოსცა დოცენტ დ. გოგოხიას და პროფესორ ა. კუპრავას ნაშრომი „აფხაზეთის შრომელთა წვლილი საქართველოს სსრ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში“ (1971-1982 წ.წ.).

საბჭოთა ქვეყნის სხვა მოძმე რესპუბლიკების ოჯახში მტკიცე, ლენინური ეროვნული პოლიტიკის მეოხებით განვითარებული სოციალიზმის პირობებში წარმატებით ვითარდება საბჭოთა საქართველოს და მასთან ერთად აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ეკონომიკა და კულტურა. უფრო სრულყოფილი ხდება აგრეთვე საბჭოთა დემოკრატია, გაიზარდა პარტიის ავანგარდული როლი, გარდაიქმნა იდეოლოგიური მუშაობა...

ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტა.

ნაშრომში განსაკუთრებით ფართოდ არის წარმოჩენილი აფხაზეთის ასსრ სამრეწველო განვითარების ისტორიული პროცესი.

1981 წელს 1970 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის გამოშვება ავტონომიურ რესპუბლიკაში გაიზარდა 1,8-ჯერ. მარტო მეათე ხუთწლედში ხარისხის ნიშნით გამოშვებული ნაწარმის რაოდენობა 11,5-ჯერ გადიდდა.

სარეცენზიო ნაშრომში მეცნიერულად არის გაშუქებული აფხაზეთის კონკრეტულ ვითარებაში პარტიის აგრარული პოლიტიკის ხორცშესხმა.

ყოველივე ზემოხსენებულის შედეგად 1979 წელს 1965 წელთან შედარებით...

გაიზარდა რეგიონების ეკონომიკური პოტენციალი“.

ნაშრომში აფხაზეთის ასსრ მაგალითზე ნაჩვენებია პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი გატარების შედეგად პატარა ერების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული დაწინაურებისათვის, მათი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური უფლებების გაფართოებისა და განმტკიცებისათვის გაწეული მუშაობის შედეგები.

ნაშრომში დიდი ადგილი უჭირავს ავტონომიურ რესპუბლიკაში სახალხო განათლებისა და კულტურის განვითარების საკითხებს.

სარეცენზიო ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხების გაშუქებას...

მ. დევია,
ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი;

ი. ჩიკავა,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

ზამთარი ასურეთში.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო

ჟურნალის ახალი ნომერი

„მნათობი“ № 2

სპორტი

„გმადლობთ, ბაკურიანო!“

ასრე ტრადიციად დამკვიდრდა ის, რომ წამყვანი საბჭოთა მოთხილამურეები უდიდესი შეჯიბრების წინ წვრთნას ბაკურიანში გადიან. გამონაკლისი არც წლევანდელი სპორტული სეზონი იყო, რომელიც ამთავრებს ოთხწლიან ოლიმპიურ ციკლს. სარაევოს სტარტების წინ ბაკურიანმა მიიღო ორჭიდლები და ბიატლონისტები. ამ სახეობებში ქვეყნის ჩემპიონატებისა და სსრ კავშირის თასის გათამაშებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. შეჯიბრების შედეგების მიხედვით გაირკვა ნაკრები გუნდის შემადგენლობა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სარაევოს ზამთრის ოლიმპიადაში.

წლევანდელმა ზამთარმა ბაკურიანში ორგანიზატორებსა და სპორტსმენებს ბევრი საფიქრალი გაუჩინა. აქ ხომ თოვლი უკანასკნელად შარშან... 29 დეკემბერს მოვიდა. მასპინძლებმა დიდი შრომა გასწიეს, რათა კარგ მდგომარეობაში ყოფილიყო სათხილამურო ტრასები, ტრამპლინების საფარები...

— ჩვენ მასპინძლებს მხოლოდ მადლობა უნდა გადავუხადოთ მათი მეჯაითი შრომის, გულითადობისა და კეთილმოსურნეობისა...

— სპორტსმენებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს შეხვდეს შეჯიბრებას ამაღლებული განწყობილებით. ზუსტად ასეთი განწყობილებით ვემშვიდობებით ბაკურიანს. ქართველმა მეგობრებმა მშვენიერი პირობები შეგვიქმნეს ვარჯიშის, შეჯიბრების და დასვენებისათვის სარაევოს სტარტების წინ, და ჩვენ ვალდებული ვართ ღირსეულად გამოვიდეთ ამ ყველაზე პრესტიჟულ შეჯიბრებაში, ღირსეულად წარმოვადგინოთ ჩვენი სამშობლო.

სპორტსმენებს მხარს უმგერს მათი დამრიგებელი— სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი სათხილამურო რბოლაში ნიკოლოზ ანიკინი.

— ბაკურიანთან სპორტულმა ბედმა თითქმის ოცდაათი წლის წინათ დამაკავშირა, — თქვა მან. —1955 წელს ჩემს თანაგუნდელებთან ერთად ...

... ზამთრის გავმხდარიყავით ამანათრბენში. საბჭოთა სპორტსმენებმა ბევრ ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს, და ყოველ მათგანში ჩვენი ქართველი ამხანაგების — ჩვენი ერთგული თანაშემწეებისა და გულშემატკივრების წვლილიცაა. გამომშვიდობებისას ჩვენ მხურვალე მადლობას ვუხდით ყველას. გმადლობთ, ბაკურიანო!

(საქინფორმი).

პირველი წრის კალენდარი

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი მატჩები გაიმართება 10 მარტს. გთავაზობთ თბილისის „დინამოს“ კალენდარული შეხვედრების განრიგს (პირველი წრე):

10 მარტი. თბილისის „დინამო“ ...

„ჩერნომორეცი“, 22. თბილისის „დინამო“ — „ნეფთჩი“;

8 მაისი. „არარატი“ — თბილისის „დინამო“, 7. თბილისის „დინამო“ — „მეტალისტი“, 11. „დნეპრი“ — თბილისის „დინამო“, 20. თბილისის „დინამო“ — „შახტიორი“, 24. „ძალგირისი“— ...

ამჯერად 6:2

სატურნირო ორბიტა

რედაქტორი
გ. გერსამიშვილი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ...

ფეხბურთი, თბილისის ერთი გადაღებით

სოფელს მზრუნველი ხელი სჭირდება

... ჩემს მშობლიურ სოფელ სამიქაოში გავატარე და არცთუ სახიამოვნო შთაბეჭდილებებმა მაიძულა დამეწერა ეს წერილი“...

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტის მ. ზირაგოლაშვილის ამ წერილმა, რომლის ავტორი აღნიშნავდა მშობლიურ სოფელში არსებულ ნაკლოვანებებს და რედაქციას დახმარებას სთხოვდა, როგორც იტყვიან, გზად გვიხმო. ხოლო რაკი სიტყვა გზაზე ჩამოვარდა (გამოცხადებული ერთ-ერთ პუნქტში მის ცუდ მდგომარეობაზეც მიუთითებდა), გადავწყვიტეთ აბაშა-სამიქაოს გზის ვარგისიანობა ამ სოფლიდან თხუთმეტიოდე კილომეტრის დაშორებით, რაიონულ ცენტრშივე შეგვემოწმებინა. და როდესაც რამდენიმე მძღოლმა სხვადასხვა მიზეზით თავი აარიდა იქ წასვლას („განა იმდენი რა უნდა გადამიხადონ, მანქანის დანჭლრევად რომ ღირდეს“, — ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა მათგანმა), ყველაფერი ნათელი გახდა.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვით სამიქაოს და მაიდნის (ეს ორივე სოფელი ერთ სასოფლო საბჭოში შედის) გზის მონაკვეთი არცთუ ისე ცუდ მდგომარეობაშია. იგი ამ სამიოდე წლის წინათ მთლიანად მოასფალტებიათ კიდეც. მაგრამ შემდეგ მაიდნიდან აბაშამდე მაგისტრალური წყალსადენის გაყვანის სამუშაოებმა ზოგან საკმაოდ დააზიანა (არც იმდენად, რომ ტრანსპორტისათვის გაუვალი იყოს). გაცილებით ცუდია სამიქაომდე მისასვლელი — გეზათის მოსრუშილი სასოფლო გზა.

სამიქაოში ნაშუადღევს „კოლხოზნიკით“ ჩავედით. ძველი სასოფლო საბჭო ომამდე დიდი ხნით ადრე აშენებულ ერთსართულიან ხის შენობაშია მოთავსებული, და თუმცა ახლახან გაურემონტებიათ, ...

... შესრულდება ყოველი ეს.

რ. რუხია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ამინდი

დადგა თებერვალი

თებერვალი ზამთრის ბოლო თვეა. შედარებით დაბალი ტემპერატურით ხასიათდება ამ თვის პირველი ნახევარი ქართლის ბარში და კახეთში, ჰაერის საშუალო სადღეღამისო ტემპერატურა პირველ დეკადაში მერყეობს ნულიდან მინუს ხუთ გრადუსამდე, ხოლო მეორე დეკადიდან 4 გრადუს სითბომდე. ჰაერის საშუალო ტემპერატურა თებერვალში 0,5-1 გრადუსით უფრო მაღალია, ვიდრე იანვარში, დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 4-დან 7 გრადუსამდე მერყეობს, ქართლის ბარში და კახეთში კი 1 გრადუსი ყინვიდან 3 გრადუს სითბომდე; თებერვალში ჰაერის საშუალო ტემპერატურა ცალკეულ წლებში მნიშვნელოვნად განსხვავდება ხოლმე აღნიშნული ნორმისაგან: მაგალითად, უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ყველაზე ცივი თებერვალი 1976 წელს აღინიშნა, ხოლო ყველაზე თბილი — 1970 და 1977 წლებში.

ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი რესპუბლიკის დაბლობ რაიონებში 21-28 გრადუსს აღწევს ხოლმე, აბსოლუტური მინიმუმი კი, იყო შემთხვევები, 16 გრადუს ყინვამდეც (ქართლის ვაკეზე ზოგან 25 გრადუსს ყინვამდე) დაეცა.

მრავალწლიური მონაცემებით, ნალექების ჯამი დასავლეთ საქართველოში 100-დან 210 მმ-მდე, აღმოსავლეთ საქართველოში კი 20-დან 50 მმ-მდე, ზოგან 90 მმ-მდე მერყეობს.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრის ამინდის გრძელვადიანი პროგნოზით თებერვალში მოსალოდნელია ჩვეულებრივზე ცივი ამინდები, ჰაერის საშუალო ტემპერატურა კი ნორმაზე დაბალი.

ნალექების ჯამი აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ მთიან რაიონებში ნორმაზე მეტია მოსალოდნელი, საქართველოს დანარჩენ რაიონებში კი ნორმასთან ახლოს და ზოგან ნორმაზე ნაკლები.

ნ. ბერიძე,
საქართველოს ჰიდრომეტცენტრის უფროსი.

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

თბილისი

... მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 21.45 — დოკუმენტური ტელეფილმები. 9.35 და 10.35 — გეოგრაფია. VII კლასი. 10.05 და 13.35 — გერმანული ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ფიზიკა. 11.35 და 12.35 — ისტორია. IX კლასი. ვ. ი. ლენინი — „აპრილის თეზისები“. 12.05 — „ოჯახი და სკოლა“. ტელეჟურნალი. 13.05 — ა. პ. ჩეხოვი. „ხალიჩა“. VI კლასი. 14.05 — ბოტანიკა. 14.25 — იცი თუ არა კანონი? 15.10 — XVIII საუკუნის რუსული ხელოვნება. ფერწერა. 15.45 — თ. მ. დოსტოევსკი. „დანაშაული და სასჯელი“. 16.25 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — ფილმ-კონცერტი „ლიუბაღი სტრიჟონებო“. 20.00 — ვეშხაბურები საბჭოთა კავშირს! 21.00 — „მეფე ნებისა, პატარაო!“. 21.20 — ჩვენი ბაღი. 22.00 — „ვრემია“.

... 20.00 — „მოამბე“. 20.35 — „ცეროდენას გვრანი“. 20.50 — სატელევიზიო საკონცერტო დარბაზი ახალგაზრდობისათვის — პ. ჩაიკოვსკის უვერტიურა-ფანტაზია „რომეო და ჯულიეტა“ (ასრულებს საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიური ორკესტრი). 21.10 — „განვახორციელოთ პროექტი სკოლის რეფორმის შესახებ“. 21.35 — „ბედი ტელეეკრანზე“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „არასერიოზული კაცი“ (მ.). 23.50 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.35 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზღაპარი“. 17.05 — მოსწავლეთათვის—მათემატიკა. 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ერთხელ და სამუდამოდ“. 18.10 — მოსწავლეთათვის — ქიმია.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-98-08, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-14, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 98-22-98, სოფლის მეურნეობის — 99-52-40, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 98-20-84, საბჭოთა მშენებლობის — 98-15-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 98-27-56, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და არისის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 98-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 98-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 98-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 202-94-92; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-09; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-26; გორი — 2-38-10; ახალციხე — 2-08-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 6-84-44; ზესტაფონი — 5-56-36, თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.